

FROGEE პოლიტიკის ნარკვევი 1 ცნობები საქართველოდან

დეკემბერი 2019

პრონატალური პოლიტიკისა და შობადობის
ეკონომიკა

ლევ ლვოვსკი, BEROC

როგორ აიხსნება საქართველოში შობადობის
მაჩვენებლების გაუმჯობესება?

იაროსლავა ბაბიჩი, ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი



აბსტრაქტი

პრონატალური პოლიტიკისა და შობადობის ეკონომიკა

გვერდი 3 – 6

პოლიტიკის წინამდებარე დოკუმენტი ხსნის „FROGEE-ს“ პოლიტიკური ნარკვევების სერიას და მიზნად ისახავს გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებული ეკონომიკური კვლევების ზოგად მიმოხილვასა და პოპულარიზაციას. ის გვაცნობს შობადობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებებისა და პოლიტიკური ცვლილებების ძირითად საფუძვლებს. აჯამებს ეკონომიკურ ლიტერატურას სხვადასხვა ტიპის პოლიტიკური ცვლილებების შესახებ, რომლებიც შობადობის მატებას ემსახურება. განვითარებულ ქვეყნებში დასაბუთებული ფენომენია ის, რომ შემოსავლის ზრდასთან ერთად მცირდება შობადობაც. შესაბამისად, როდესაც ქვეყანა მდიდრდება, შობადობის მაჩვენებელი დროთა განმავლობაში იკლებს. შობადობასა და შემოსავლებს შორის უარყოფითი კავშირი ძირითადად ორი განსხვავებული კომპრომისიდან გამომდინარეობს. მათგან ერთ-ერთი ხარისხსა და რაოდენობას შორის კომპრომისია: შეძლებული ადამიანები ბავშვის აღზრდაში მეტ ინვესტიციას დებენ და რაოდენობასთან შედარებით ხარისხს ანიჭებენ უპირატესობას. მეორე კომპრომისი კი იმ ფაქტთანაა დაკავშირებული, რომ ბავშვების აღზრდას დრო სჭირდება, რაც მშობლის მოვალეობებსა და კარიერულ შესაძლებლობებს შორის მუდმივ წინააღმდეგობას გულისხმობს. წინამდებარე დოკუმენტი სხვადასხვა პრონატალური (შობადობის სტიმულირებაზე მიმართული) პოლიტიკური მიდგომების ეფექტიანობასთან დაკავშირებულ კვლევებს აჯამებს. როგორც ირკვევა, ყველაზე ეფექტიანი მიდგომა ზემოთ აღნიშნული კომპრომისების აუცილებლობის აღმოფხვრაა. სწორედ ის პოლიტიკური მიდგომები აღმოჩნდა პერსპექტიული, რომლებიც პოტენციურ მშობლებს მეტ თავისუფალ დროს სთავაზობს, რათა კარიერისა და მშობლის მოვალეობები ერთმანეთს უკეთ შეუთავსონ.

როგორ აიხსნება საქართველოში შობადობის მაჩვენებლების გაუმჯობესება?

გვერდი 6 – 10

საქართველო 3.7 მილიონიანი ქვეყანაა, რომელიც ევროპისა და აზიის გასაყარზე მდებარეობს და პოსტ-საბჭოთა, გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნის მრავალი თავისებურება ახასიათებს. ერთ-ერთი ფაქტორი, რომლითაც საქართველო გამოირჩევა, 1990-იანი წლების არაერთი ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისის შემდეგ ერთ ქალზე შობადობის მზარდი კოეფიციენტი; უკანასკნელი 10 წლის მანძილზე, საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე მაღალი შობადობის კოეფიციენტი ჰქონდა დასავლეთ ევროპისა და სამხრეთ კავკასიის გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებს შორის. ისმის კითხვები: არის თუ არა ეს მხოლოდ ეკონომიკური აღმავლობის შედეგი? შეიძლება თუ არა მივაწეროთ ეს პოლიტიკურ ინტერვენციებს? არის თუ არა ეს მხოლოდ დემოგრაფიული ფენომენი? არსებული მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ 2002 წლის შემდეგ, ეკონომიკურმა ფაქტორებმა ქვეყნის შობადობის ზრდის კუთხით უმთავრესი როლი შეასრულა; ხოლო სხვა დემოგრაფიულმა ფაქტორებმა და ინტერვენციებმა (ე.წ. „პატრიარქის ეფექტი“) მხოლოდ უმნიშვნელო გავლენა იქონია.



პრონატალური პოლიტიკისა და შობადობის ეკონომიკა

FROGEE-ს პოლიტიკური დოკუმენტების ზოგადი მიმოხილვა

FROGEE-ს პოლიტიკის დოკუმენტები სპეციალური სერიაა, რომელიც მიზნად ისახავს გენდერის თანასწორობასთან დაკავშირებული ეკონომიკური კვლევების მიმოხილვასა პოპულარიზაციას. გენდერის თანასწორობის თემებზე დებატები ხშირად უაღრესად პოლიტიზირებულია. ჩვენ მიგვაჩნია, რომ უახლეს კვლევებზე დაფუძნებული არგუმენტები დაგვეხმარება ვაწარმოოთ უფრო ნაყოფიერი დისკუსიები პოლიტიკურ მიდგომებთან მიმართებაში და საბოლოოდ, უკეთეს შედეგებს მივაღწიოთ. დოკუმენტის მიზანია კვლევებზე დაფუძნებული არგუმენტებისა და მათი როლის შესახებ ცოდნის გაღრმავება უმთავრესი თეორიებისა და მიმდინარე დებატებისთვის განსაკუთრებულად საინტერესო სფეროების უმნიშვნელოვანესი მიგნებების დახმარებით. დოკუმენტებს წინ უძღვის მთავარი საკითხის მოკლე, ზოგადი მიმოხილვა, რასაც ქვეყნისთვის დამახასიათებელი კონტექსტის, პოლიტიკური გამოწვევების, განხორციელებული რეფორმებისა და პოლიტიკური მიდგომების სხვა ალტერნატივების შეჯამება მოჰყვება.

მოწყვეტა. შობადობის ეკონომიკის მიმოხილვა

ჩვენს სერიებს შობადობის საკითხით ვიწყებთ. ეს ის თემაა, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული გენდერთან და ამავე დროს, საჯარო პოლიტიკის უშუალო ინტერვენციას გულისხმობს. ეკონომიკური თვალსაზრისით, არსებობს რამდენიმე პოტენციური მიზეზი იმის ასახსნელად, რომ შესაძლოა შობადობასთან დაკავშირებული პოლიტიკური ინტერვენციები საზოგადოებისთვის სასარგებლო იყოს და ხელშეწყობის გარეშე დარჩენილმა მშობლებმა სოციალური თვალსაზრისით არა ოპტიმალური გადაწყვეტილებები მიიღონ. იმისათვის, რომ ეს

მიზეზები უკეთ გავიაზროთ, აუცილებელია გავითვალისწინოთ თუ რა უდევს საფუძვლად ოჯახის და განსაკუთრებით შობადობის საკითხების თეორიულ ეკონომიკას. ამ თეორიის ჩამოყალიბებაში ფუძემდებლური წვლილი გარი ბეკერს (Becker & Lewis 1973; Becker & Tomes 1976) მიუძღვის.

ეკონომიკის მეცნიერებაში მიჩნეულია, რომ საქონელი შესაძლოა იყოს ნებისმიერი რეალური ობიექტი, რომელსაც ადამიანების საჭიროებების დაკმაყოფილება გარკვეული საფასურის სანაცვლოდ შეუძლია. ბეკერის მიდგომა ამ ლოგიკას ოჯახსა და ადამიანურ ურთიერთობებზეც ავრცელებს და პარტნიორობასთან, განქორწინებასა და ოჯახის შექმნასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს ხარჯებსა და სარგებელს შორის „ეკონომიკური“ კომპრომისების ჭრილში წარმოგვიდგენს. იქიდან გამომდინარე, რომ შვილების ყოლა მნიშვნელოვან ხარჯებთანაა (ისევე, როგორც ფინანსური ასევე დროის) დაკავშირებული და ამავე დროს, სხვადასხვა კუთხით, მას გარკვეული სარგებელი მოჰყვება, ის შესაძლოა ეკონომიკურ გადაწყვეტილებად ჩაითვალოს. თუმცა, თუ შვილის ყოლას ამ პერსპექტივიდან განვიხილავთ, ის განსაკუთრებულ თავისებურებებს იძენს.


შემოსავლებისა და შობადობის უარყოფითი ურთიერთკავშირი და შობადობის დაბალი დონე

ერთ-ერთი ყველაზე უტყუარი მიგნება შობადობასთან (სხვა ტიპის დანახარჯებთან შედარებით) დაკავშირებით ის გახლავთ, რომ გამომუშავებასა და შვილების რაოდენობას შორის ძლიერი უარყოფითი ურთიერთკავშირია (იხ. ნახაზი #1). შემოსავლებსა და შობადობას შორის უარყოფითი კავშირი ყველა განვითარებულ ქვეყანაში დადასტურდა; როგორც დროთა განმავლობაში შემოსავლების ზრდისას, ასევე, ქვეყნების მდგომარეობის შედარებისას (იხ. Jones et al. 2011). მე-2 ნახაზი ამ კავშირს უფრო ფართო, მაკროეკონომიკური პერსპექტივიდან გვიჩვენებს: ისტორიულად, ერთ სულზე მშპ-ს ზრდასთან ერთად შობადობის მაჩვენებლებიც იკლებდა. არსებობს




ზემოთხსენებული ურთიერთკავშირის რამდენიმე პოტენციური მიზეზი. ორი ყველაზე გავრცელებული ახსნაა ალტერნატიული დანახარჯები და ხარისხი-რაოდენობის კომპრომისი, რომლებიც შვილის ყოლასა და ოჯახის თავისებურებს ხარჯებისა და სარგებლიანობის კუთხით უკავშირდება.

ნახაზი #1. კავშირი შობადობის ჯამურ კოეფიციენტსა და ერთ სულზე მშპ-ს შორის



წყარო: მსოფლიო ბანკი.

ნახაზი #2: შობადობის ჯამური კოეფიციენტი რეგიონის მიხედვით 1950-2050 წლებში



წყარო: მსოფლიო ბანკი

ფულადი და დროის დანახარჯები

ოჯახის შექმნისათვის გამორჩეული მახასიათებელი ის გახლავთ, რომ შვილის ყოლა როგორც ფულად ასევე დროის ერთეულებში გამოისახება. ამ უკანასკნელიდან გამომდინარე ლოგიკურია, რომ მაღალი შემოსავლების მქონე ოჯახებს ბავშვის აღზრდისას დროის უფრო მაღალი ალტერნატიული დანახარჯები აქვთ.

ამან შესაძლოა გავლენა მოახდინოს არამხოლოდ შობადობასა და შემოსავლებს შორის ზემოთხსენებულ უარყოფით ურთიერთკავშირზე, არამედ განვითარებულ ქვეყნებში ის შესაძლოა დაბალი შობადობის მთავარი მიზეზი გახდეს. ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული პოლიტიკა, რომელიც შობადობის გასაზრდელად გამოიყენება, ოჯახისთვის გაწეული ფულადი დახმარებები და საგადასახადო შეღავათებია. გაეროს მოსახლეობის შესახებ მონაცემების მიხედვით, განვითარებული ქვეყნების სულ მცირე 96%-ს მსგავსი პოლიტიკა გააჩნია. OECD-ის ქვეყნები საშუალოდ მშპ-ს 4%-ს მსგავს დახმარებებზე მიმართავენ. ასეთი ინტერვენციების საშუალო ეფექტი შობადობის ჯამობრივ კოეფიციენტზე (TFR) საშუალოდ 0.08 – 0.35 ინტერვალში (Luci-Greulich & Thevenon 2011) მერყეობს. თუ რატომაა საჭირო დიდი ოდენობით თანხის გაღება შობადობის მცირედი ზრდისთვის იმით აიხსნება, რომ დაბალი შობადობა „პირველი მსოფლიოს“ პრობლემაა, სადაც ადამიანების უმრავლესობა ბავშვის ყოლის მონეტარული ხარჯით არ არის შეზღუდული.

პოლიტიკურ მიდგომებს, რომლებიც ბავშვის აღსაზრდელად საჭირო დროით დანახარჯებსაც ითვალისწინებს, განვითარებულ ქვეყნებში უფრო მაღალი პოტენციური ეფექტი აქვს. მაგალითად, რაუტე (2019) გერმანიის მონაცემების ანალიზის შედეგად ადგენს, რომ 18%-იანი ზრდა შეინიშნება იმ ქალთა შობადობის კოეფიციენტში, ვისი შემოსავლების დონეც მედიანას აჭარბებს მას შემდეგ, რაც შემოდებულ იქნა შემოსავლებზე დამოკიდებული დეკრეტული შვებულების პოლიტიკა.

კომპრომისი ხარისხსა და რაოდენობას შორის

ეკონომიკის თეორიის თანახმად, ჯანმრთელობა და სხვა ფაქტორები ადამიანის პროდუქტიულობასა და პოტენციალს ზრდის და „ადამიანური კაპიტალის ხარისხის“ ცნებით გამოიხატება. ადამიანური კაპიტალის ამონაგების ზრდასთან ერთად მშობლებმა შესაძლოა არჩიონ ჰყავდეთ ცოტა შვილი და დრო და ფინანსური „ინვესტიცია“ მათი აღზრდის



ხარისხს მიუძღვნან. ხარისხსა და რაოდენობას შორის კომპრომისის ერთ-ერთ ყველაზე დამაჯერებელ დასაბუთებას ტყუპებსა და ოჯახის სიდიდეზე არსებული მონაცემების ანალიზი გვთავაზობს, რომელიც ჰანუშეკმა (1992), ლიმ (2008) და სხვებმა ჩაატარეს.

კულტურული ნორმები

შედარებით ახალი კვლევა, რომელიც შობადობის განმსაზღვრელ ფაქტორებს ეხება, კულტურული ნორმების შობადობაზე მნიშვნელოვან და მუდმივ გავლენას აღწერს. გავლენა გამოიხატება შობადობის განსხვავებული დონეებით მსგავსი ფინანსური სტატუსის და განსხვავებული კულტურული მახასიათებლების მატარებელ ადამიანებს შორის. მაგალითად, განვითარებულ ქვეყნებში შობადობის დონე ემიგრანტებს შორის უფრო ახლოსაა მათი წარმომავლობის ქვეყნების შობადობის დონესთან (იხ. Beach & Hanlon 2019, Families and Societies, 2015). მიუხედავად იმისა, რომ კულტურული ნორმები ასევე იცვლება და შესაძლოა მათზე გავლენა პოლიტიკურმა გარემომაც მოახდინოს (Bassi & Rasuk 2017), საკმაოდ მნიშვნელოვანია დროის ფაქტორი, რომელიც ასევე გავლენას ახდენს ნორმების განვითარებასა და ადაპტაციაზე.

შიდა დანახარჯები და გარე სარგებელი

ეკონომიკური თვალსაზრისით, შვილის ყოლის კიდევ ერთი განსაკუთრებული მახასიათებელი ის გახლავთ, რომ დროისა და ფულად დანახარჯებს უმეტესად მშობლები გასწევენ, ხოლო მომავალი ეკონომიკური სარგებელი ოჯახის მიღმა რჩება და უფრო ფართო საზოგადოების სასიკეთოდაა მიმართული. ზრდასრული ადამიანი შრომის ბაზარზე შესვლისას საქონლისა და მომსახურების წარმოებას სხვა ადამიანებისთვის იწყებს, და მთავრობას გადასახადებს უხდის; ხოლო მისი მშობლები ამ სარგებლის უმნიშვნელო ნაწილს იღებენ (Schoonbroodt & Tertilt 2014). ეკონომიკური თვალსაზრისით, შვილების ყოლის სოციალური ღირებულება უფრო მაღალია, ვიდრე კერძო (მშობლის). ეს სიტუაცია ერთ-ერთი მთავარი არგუმენტია შობადობასთან მიმართებაში საჯარო პოლიტიკის ინტერვენციის მხარდასაჭერად. როდესაც

სოციალური სარგებელი კერძოს აჭარბებს, კერძო არჩევანის სუბსიდირებამ შესაძლოა საერთო კეთილდღეობის ამაღლება გამოიწვიოს.

შობადობის ხელშემწყობი პოლიტიკა: რა მუშაობს და რა არა?

შობადობის წახალისების თვალსაზრისით პოლიტიკის შემქმნელებისთვის შესაძლებლობების ფართო არჩევანი არსებობს. ერთი მხრივ, მშობლის ანაზღაურებადი შვებულებამ და ბავშვის მოვლის სუბსიდირებამ შესაძლოა კარიერული და აღმზრდელობითი მოვალეობების წინააღმდეგობრიობა შეარბილოს. ხოლო რაც შეეხება მშობლის შვებულების დანერგვას, ის სამსახურის მიღმა გატარებულ დროს მშობლებს შორის ბავშვის მოვლისთვის დათმობილი დროის განაწილების საფუძველზე აბალანსებს/ მეორე მხრივ, ბავშვთან დაკავშირებული ფულადი დახმარება იმ ოჯახების ფინანსური შეზღუდვების შესამცირებლადაა განკუთვნილი, რომლებიც შვილის ყოლის გადაწყვეტილებას ფინანსური მიზეზებიდან გამომდინარე გადაავადებენ ან ცვლიან. პრაქტიკაში ხშირად რთულია შობადობის გაზრდაზე ორიენტირებული პოლიტიკის გავლენის გაზომვა მონაცემების სიმცირიდან და კონკრეტული პოლიტიკის განხორციელების დიზაინიდან გამომდინარე, რომელიც პოლიტიკის შეფასების საშუალებას არ იძლევა. თუმცა, არსებობს მტკიცებულება, რომ შობადობის ხელშემწყობი ზოგიერთი პოლიტიკა წარმატებით სარგებლობს. კვლევის თანახმად (Luci-Greulich & Thevenon, 2011) ყველაზე ეფექტური თანხობრივი სუბსიდია მცირეწლოვან ბავშვებზე (0-3) გამიზნული დახმარებებია, ხოლო დაბადებისას გაწეული შემწეობა ნაკლები ეფექტიანობით გამოირჩევა. მრავალმა კვლევამ აჩვენა, რომ შვილებიანი ოჯახებისთვის გაწეულ შემწეობას შობადობაზე დადებითი გავლენა აქვს (d'Addio & d'Ercole 2005, Ermisch 1998, Milligan 2005, Whittington 1992, Whittington et al. 1990). უკანასკნელ ათწლეულებში შვედეთში განვითარებული მოვლენები ხშირად გამოიყენება, როგორც ოჯახზე ორიენტირებული წარმატებული პაკეტის მაგალითი; თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ პარალელურად მიმდინარე



სხვადასხვა ტიპის მიდგომებთან გვაქვს საქმე, რთულია რომელიმე კონკრეტული მეთოდის გავლენის დადგენა (იხ. ბიორკლუნდის 2006 წლის კვლევა შვედეთის პოლიტიკური რეფორმების შესახებ და ლუსი-გროილიხისა და თევნონის 2013 წლის ნაშრომი არსებული კვლევებისა და შობადობის ხელშემწყობი პოლიტიკური მიდგომების შესახებ).

კალვიჯი (2010) და რაუტე (2019) ყურადღებას იმ პოლიტიკურ მიდგომებზე ამახვილებენ, რომლებიც კარიერული და მშობლის მოვალეობების კომპრომისის საჭიროების შემცირებაზეა ორიენტირებული. რაუტე (2019) მიიჩნევს, რომ განსაკუთრებით ძლიერი ეფექტი აქვს მაღალანაზღაურებადი ქალებისთვის ადეკვატური კომპენსაციის შეთავაზებას (ავტორი ასევე ამომწურავად მიმოიხილავს არსებულ კვლევებს, რომლებიც შვილების ყოლასთან დაკავშირებული ალტერნატიული დანახარჯების შემცირებას ეხება). დიოპკე და ქინდერმანი (2016) აღნიშნულ მიგნებებს იმ მტკიცებულებებით ამყარებენ, რომ შობადობის კოეფიციენტი განსაკუთრებით ისეთ პოლიტიკურ მიდგომებზე რეაგირებს, რომლებიც ქალებისთვის შვილის მოვლის ტვირთს ამსუბუქებს.

ოჯახის საკითხებთან დაკავშირებული კიდევ ერთი გავრცელებული პოლიტიკური მიდგომის - დეკრეტული შვებულების გავლენა შობადობაზე შედარებით ბუნდოვანია. იქიდან გამომდინარე, რომ განვითარებული ქვეყნების უმეტესობაში ანაზღაურებადი დეკრეტული შვებულება ფართოდ გავრცელებულია, რთულია განისაზღვროს მისი ხელმისაწვდომობის გავლენა შვილების ყოლის გადაწყვეტილებაზე. დეკრეტული შვებულების ხანგრძლივობა სხვადასხვა ქვეყნებში ეკონომისტებს გარკვეული დასკვნის გამოტანის საშუალებას აძლევს. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მკვლევარი (Adserà, 2004) დეკრეტული შვებულების ხანგრძლივობის დადებით ეფექტს უსვამს ხაზს, სხვები ამ დასკვნის მხარდაჭერას ვერ ახერხებენ მონაცემებისა და ექსპერიმენტული მიდგომების დახმარებით (d'Addio & d'Ercole 2005, Olivetti & Petrongolo 2017).

დასკვნითი კომენტარები

ოჯახის შექმნასთან და შობადობასთან დაკავშირებული ეკონომიკური მიდგომების უკეთ გაგება ოჯახზე ორიენტირებული პოლიტიკის ახლებური სქემების შემუშავებაში გვეხმარება. წინამდებარე ნარკვევის მიზანი არ გახლავთ ამ თემის სრული მიმოხილვა და ამომწურავი ეკონომიკური ანალიზი, თუმცა, მტკიცებულებები იმაზე მიანიშნებს, რომ არსებობს ეფექტიანი პოლიტიკური ინსტრუმენტების ნაკრები, რომლებიც შობადობის ზრდას უწყობს ხელს. იმედია, აქ წარმოდგენილი საბაზისო კონცეფციები საფუძველს შექმნის ამ თემის საჯარო პოლიტიკის სისტემატიური და მტკიცებულებებზე დაფუძნებული დისკუსიებისთვის. უნდა აღინიშნოს, რომ ვინაიდან შვილების ყოლა მრავალი ოჯახისთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაა, ის ავტომატურად დაკავშირებულია სხვადასხვა ინდივიდუალურ გადაწყვეტილებასა და მათ შედეგებთან. აქედან გამომდინარე, ნებისმიერი პოლიტიკა, რომელიც შობადობის გაზრდისკენაა მიმართული, გავლენას იქონიებს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორებიცაა შემოსავლების უთანასწორობა, გადასახადები, გენდერული თანასწორობა, ჯანდაცვა, ბავშვის განვითარება და ა.შ. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ საჯარო ინტერვენციების განხორციელებისას ყურადღებით უნდა შეფასდეს პოტენციური დადებითი და უარყოფითი თანმდევი ეფექტები.

როგორ აიხსნება საქართველოში შობადობის მაჩვენებლების გაუმჯობესება?

შესავალი

ისევე როგორც დასავლეთ და ცენტრალური ევროპის გარდამავალი ეკონომიკის მქონე მრავალ ქვეყანას, უკანასკნელ ათწლეულში საქართველოსაც ჰქონდა დადამავალი ან უცვლელი მოსახლეობის რაოდენობის პრობლემა. მიუხედავად ამისა, რეგიონის




მასშტაბით, საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე მაღალი შობადობის კოეფიციენტი ჰქონდა არა მხოლოდ 2017 წელს, არამედ ყოველწლიურად, 2007 წლიდან დღემდე.

TFR (შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი: შობადობა ერთ ქალზე) საქართველოში ფეხდაფეხ მიყვებოდა „ევროპული დსთ-ს“ ქვეყნების აღმავალ ტენდენციას: ბელარუსი, უკრაინა, ლიეტუვა, ლატვია და რუსეთის ფედერაცია.

აღნიშნული ქვეყნების TFR-მა პიკს 1987 წელს მიაღწია; შემდგომ დრამატულად დაეცა და ნელ-ნელა ისევ ზრდა დაიწყო, მაგრამ გარდამავალ პერიოდამდე არსებულ მაჩვენებელს ვეღარ მიაღწია.

ნახაზი 1. შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი დსთ-ს შერჩეულ ქვეყანებში



წყარო: WDI-ს 2019 წლის 17 ივნისის მონაცემები.

გარდამავალი პერიოდის შემდეგ საქართველომ TFR-ის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი (1.58) 2002 წელს ჰქონდა. მას შემდეგ შობადობის კოეფიციენტი 2014-2015 წლებში „მხოლოდ“ 2.0-მდე გაიზარდა. მიუხედავად ამისა, ეს აღმასვლა შესაძლოა მიღწევად ჩაითვალოს, რადგან სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში, აზერბაიჯანსა და სომხეთში შობადობის მნიშვნელოვანი ზრდა არ დაფიქსირებულა. აზერბაიჯანმა და სომხეთმა შობადობის მაღალ TFR-ს 1960 წელს (5.9-სა და 4.7-ს) მიაღწიეს. ამჟამად, ამ ქვეყნებს 50 წლის მანძილზე ერთ-ერთი ყველაზე დაბალი

მაჩვენებლები აქვთ (აზერბაიჯანი - 1.9 და სომხეთი - 1.6).

საქართველოში შობადობის ტენდენცია მეტ შესწავლას მოითხოვს, რადგან მისი შემთხვევა არ შეესაბამება დამკვიდრებულ კანონზომიერებას, რომლის თანახმადაც „მაღალი შემოსავლები დაბალ შობადობას იწვევს“. საქართველოში დაბალ შემოსავლებს (1990-იანი წლების ეკონომიკური შოკი) შობადობის შემცირება მოჰყვა და შემოსავლების ზრდასთან ერთად შობადობის მაჩვენებლებმაც იმატა; ეს საკმაოდ ტიპური ტენდენციაა გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, მაგრამ საქართველოს ის გამოარჩევდა, რომ ქვეყნის შობადობამ ზრდა მაშინ დაიწყო, როდესაც შრომის ბაზრის პოლიტიკა ინვესტიციებისა და ბიზნესისადმი ლიბერალური დამოკიდებულებით გამოირჩეოდა და არა შობადობის სტიმულირებაზე ორიენტირებული მიდგომით (პატარაია, 2016). ისეთი გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვის, როგორებიცაა რუსეთი, უკრაინა და ბელარუსი ეს სხვაგვარად მოხდა; იქ შობადობის მაჩვენებლებმა მატება მაშინ დაიწყო, როდესაც შესაბამისმა მთავრობებმა შობადობის სტიმულირებაზე ორიენტირებული პოლიტიკა გაატარეს (Frejka, Gietel-Basten, 2016).

ჰიპოთეზები საქართველოში შობადობის მაჩვენებლის ზრდის შესახებ

ამ კონტექსტში რა შეიძლება ითქვას საქართველოს შობადობის კოეფიციენტის მატებასთან დაკავშირებით 2002-დან 2014 წლამდე? UNFPA-ს მოსახლეობის ანგარიში (ჰაკერტი, 2017) საქართველოში TFR-ის ზრდას რამდენიმე ჰიპოთეზით ხსნის:



1. 1990-იანი წლების კრიზისის შემდეგ ერთ სულზე შემოსავლების ზრდა;
2. „პატრიარქის ეფექტის“ ჰიპოთეზა;
3. შობადობის გადავადებით გამოწვეული დროის ეფექტი.

ერთ სულ მოსახლეზე გაზრდილი შემოსავლებისა და შობადობის მაღალი მაჩვენებლების ურთიერთკავშირი

ამ ჰიპოთეზის ლოგიკა იმაში მდგომარეობს, რომ გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, 1990-იანი წლების ეკონომიკური კრიზისიდან გამომდინარე ოჯახები სერიოზულ ფინანსურ წნეხს განიცდიდნენ. მთელი ოჯახისთვის ნაკლები რესურსი იმას ნიშნავდა, რომ ოჯახები ან ცოტა შვილის ყოლას ამჯობინებდნენ ან ორსულობას სამომავლოდ გადადებდნენ. ხოლო როდესაც შემოსავლებმა ზრდა დაიწყო, შობადობის მაჩვენებლებიც გაიზარდა და შედარებით ნორმალურ დონეს დაუბრუნდა. ჰიპოთეზა იმის შესახებ, რომ შობადობის ზრდა ეკონომიკური ზრდით იყო განპირობებული, ოჯახის შემოსავლებსა და შობადობას შორის უარყოფით კავშირის ტრადიციულ კანონზომიერებას არ ეწინააღმდეგება. ზოგადად, შემოსავლებსა და შობადობას შორის უარყოფითი ურთიერთკავშირი უმეტესწილად მსოფლიო ეკონომიკის განვითარების პროცესში ცვალებადი სტრუქტურითაა განპირობებული (განსაკუთრებით, როდესაც ფოკუსი სოფლიდან ურბანიზაციაზე გადადის). 1990-იან წლებში საქართველო უკვე ურბანული საზოგადოება გახლდათ, თუმცა, რუსეთთან, უკრაინასთან და სომხეთთან შედარებით ურბანიზაციის შედარებით დაბალი დონით გამოირჩეოდა.

წარმატებული ინტერვენციის მაგალითი? – პატრიარქის ეფექტის ანალიზი

2007 წელს საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის პატრიარქმა, ილია II-მ განაცხადა, რომ

ის პირადად მონათლავდა საქართველოში ყველა დაქორწინებული წყვილის ყოველ მესამე და შემდეგ ბავშვს. იქიდან გამომდინარე, რომ მართლმადიდებელთა რიცხვი საქართველოში ძალიან მაღალია (მსოფლიო ფაქტების წიგნის 2019 წლის გამოშვების თანახმად, 2014 წელს დაახლოებით 83%-ს აღწევდა) და ეკლესია ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი და პატივცემული ინსტიტუციაა ქვეყანაში, მოსალოდნელი იყო, რომ პატრიარქის განცხადებას შობადობის მაჩვენებლებზე მნიშვნელოვანი გავლენა უნდა ჰქონოდა. მართლაც, 2008 წელს ანუ პატრიარქის განცხადებიდან ერთ წელიწადში, საქართველოში შობადობამ საგრძნობლად იმატა და თუ ის 2007 წელს 49 000-ს შეადგენდა, 2008 წელს 57 000-მდე გაიზარდა, 2009 წელს კი 63 000-ს მიაღწია (ლანჩავა, 2014). იყო თუ არა ეს ზრდა პატრიარქის განცხადების შედეგი?

ზოგიერთ მკვლევარს მიაჩნია, რომ პატრიარქის ეფექტი უმნიშვნელო იყო. ლანჩავამ (2014) ჩაატარა გამოკითხვა სხვაობათა სხვაობის მოდელის გამოყენებით (ექსპერიმენტული ჯგუფი ქართველებისგან შედგებოდა, ხოლო საკონტროლო ჯგუფი საქართველოში მცხოვრები არა-მართლმადიდებელი უმცირესობებისგან) და კვლევის პერიოდად 2008-2010 წლები აირჩია. მოდელის მიხედვით, პატრიარქის განაცხადს გავლენა არ ჰქონია, რადგან ამ პერიოდში შობადობის მაჩვენებელმა არა-მართლმადიდებელ უმცირესობებშიც იმატა. კვლევის შეზღუდვას მისი პერიოდი (2008-2010) წარმოადგენს, რადგან პატრიარქმა ბავშვების მონათვლა 2010 წლის შემდეგაც გააგრძელა. მნიშვნელოვანია შევისწავლოთ მონაცემები 2010 წლის შემდეგ, რათა განვსაზღვროთ ჰქონდა თუ არა პატრიარქის განცხადებას ხელშესახები გავლენა.



ერთი მხრივ, პატრიარქის ეფექტის ჰიპოთეზის გამყარება იმით შეიძლება, რომ 2010 წლის შემდგომ საქართველოში პირველი შვილის გაჩენის რიცხვმა იკლო, რის პარალელურადაც გაიზარდა მეორე და შემდეგი შვილების გაჩენის მაჩვენებლები (საქსტატი, 2019 ა). გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ გაიზარდა და აღარ შემცირებულა ქორწინებაში დაბადებული ბავშვების რიცხვი (პატრიარქის განცხადების ბენეფიციარები). ამასთან, 2007 წლის შემდეგ იკლო იმ ბავშვების რაოდენობამ, რომლებიც ქორწინების გარეშე არიან დაბადებულნი (საქსტატი, 2019 ბ).

მეორე მხრივ, ვერ გამოვრიცხავთ იმ ფაქტორს, რომ შესაძლოა ქორწინებაში დაბადებულთა რიცხვმა, ისევე, როგორც მესამე და შემდეგი ბავშვის შობადობამ უბრალოდ ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების გამო იმატა. უნდა დავაკვირდეთ შობადობის ზოგად ტენდენციას, ანუ მესამე და შემდეგი ბავშვებისა და არა-მართლმადიდებელი ეთნიკური უმცირესობების სტატისტიკას 2010 წლის შემდეგ. თუ ვნახავთ, რომ ტენდენცია მთელი მოსახლეობისთვის და მართლმადიდებელი ქართველებისთვის მეტნაკლებად მსგავსია, მაშინ შეგვეძლება ვთქვათ, რომ პატრიარქის ეფექტი უბრალოდ გაუმჯობესებული ეკონომიკური მდგომარეობის თანმდევი შედეგია. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი სიღრმისეული კვლევა პოლიტიკის წინამდებარე დოკუმენტის განხილვის საგანს არ წარმოადგენს, თუ შობადობას იმ მუნიციპალიტეტებში დავაკვირდებით, რომლებიც ეთნიკური უმცირესობებით ყველაზე მჭიდროდაა დასახლებული (მაგალითად, მარნეული, სადაც 2014 წლის გამოკითხვის თანახმად, ეთნიკური აზერბაიჯანელების წილი 83.7% იყო), დანარჩენი საქართველოს მსგავს

ტენდენციას შევნიშნავთ. მიუხედავად ამ მონაცემებისა, პატრიარქის ეფექტის გავლენაზე რაიმეს გადაჭრით თქმა ამ ეტაპზე გაუმართლებელია.

აიხსნება თუ არა შობადობის მზარდი მაჩვენებლები „დროის ეფექტით“?

ამ ჰიპოთეზის თანახმად, შესაძლოა შობადობის შემცირებასა და შემდგომ ზრდას ის განაპირობებდეს, რომ ახალგაზრდა ქალები შვილების გაჩენას გადადებდნენ. როდესაც ქალები შვილების გაჩენას გადაავადებენ, შობადობა თავისთავად მცირდება. თუმცა, მოგვიანებით, შობადობის მაჩვენებლებმა ისევ უნდა იმატოს. ამ ეფექტს მნიშვნელოვანი გავლენა აქვს შობადობაზე ალბანეთში, მოლდოვასა და თურქეთში (ჰაკერტი, 2017). თუმცა, დროის ეფექტის შემთხვევაში, შობადობის ზრდასთან ერთად საგრძნობლად უნდა გაიზარდოს ბავშვის დაბადებისას დედის საშუალო ასაკიც. საქართველოს შემთხვევაში კი ეს ასე არის. ქალთა საშუალო ასაკი ბავშვის დაბადებისას 1994 წელს 25.7 იყო, ხოლო 2014 წლამდე მხოლოდ 27.1-ს მიაღწია (ჰაკერტი, 2017).

დასკვნა

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ არსებული მონაცემების მიხედვით, 2002 წლიდან დღემდე საქართველოში შობადობის მაჩვენებლების ზრდა უმეტესად ეკონომიკური ფაქტორებით აიხსნება. სხვა დემოგრაფიული ფაქტორები და ინტერვენციები სავარაუდოდ უმნიშვნელოა; თუმცა, „პატრიარქის ეფექტის“ ჰიპოთეზის უარყოფისათვის მეტი კვლევაა საჭირო. საქართველოს შემთხვევა განსაკუთრებით საინტერესო იმითაა, რომ მისი დახმარებით შესაძლოა გარკვეულწილად ნათელი მოეფინოს თუ რამდენად ეფექტიანია



პოლიტიკის ინტერვენციები (როგორცაა ერთჯერადი ფულადი დახმარებები დედებისთვის) შობადობის გაზრდის მიზნით. საქართველო საინტერესო შემთხვევაა გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებს შორისაც, რადგან ეკონომიკურ ზრდას 2004 წლის შემდეგ თან უმეტესად ბიზნესის ხელშემწყობი შრომის ბაზრის პოლიტიკა ახლდა და უკრაინისა და რუსეთისგან განსხვავებით, სახელმწიფოს შობადობის ზრდაზე მიზანმიმართული პოლიტიკა არ გაუტარებია.

ბიბლიოგრაფია

- Adserà A., 2004. "Changing Fertility Rates in Developed Countries: The Impact of Labour Market Institutions", *Journal of Population Economics*, 17: 17–43.
- Bassi V. and I. Rasul, 2017. "Persuasion: A case study of papal influences on fertility-related beliefs and behavior", *American Economic Journal: Applied Economics*, 9(4): 250-302.
- Beach B. and W.W. Hanlon, 2019. "Censorship, Family Planning, and the Historical Fertility Transition".
- Becker G.S and H. Gregg Lewis, 1973. "Interaction between the Quantity and Quality of Children", *Journal of Political Economy*, 81 (2): S279-S288.
- Becker, G. S. and N. Tomes, 1976., "Child endowments and the quantity and quality of children", *Journal of Political Economy*, 84: S143–S162.
- Björklund A, 2006. "Does Family Policy Affect Fertility? Lessons from Sweden", *Journal of Population Economics*, 19 (1): 3–24.
- d'Addio A.C and M.M d'Ercole, 2005. "Trends and Determinants of Fertility Rates in OECD Countries: The Role of Policies", Paris: Organisation for Economic Co-operation and Development OECD.
- Doepke M. and F. Kindermann, 2016. "Bargaining over babies: Theory, evidence, and policy implications", National Bureau of Economic Research, w22072.
- Ermisch J., (1988). "Econometric Analysis of Birth Rate Dynamics in Britain", *Journal of Human Resources*, 23: 563–76.
- Families and Societies, 2015. "Country-specific case studies on fertility among the descendants of immigrants", Working paper 39.
- Frejka, T., & Gietel-Basten, S. 2016. "Fertility and family policies in Central and Eastern Europe after 1990", *Comparative Population Studies - Zeitschrift für Bevölkerungswissenschaft*, 41(1): 3-56.
- GeoStat. 2019a. Number of live births by birth order [Data file], retrieved from <https://www.geostat.ge/en/modules/categories/319/births> on June 7, 2019.
- GeoStat. 2019b. Number of live births by legitimacy status. [Data file] Retrieved from <https://www.geostat.ge/en/modules/categories/319/births> on June 7, 2019.
- Hakkert, R., 2017. "Population dynamics in Georgia – An Overview Based on the 2014 General Population Census Data", National Statistics Office of Georgia, UNFPA Office in Georgia.
- Hanushek E.A., 1992. "The trade-off between child quantity and quality", *Journal of Political Economy*, 100 (1): 84-117.
- Jones, L. E., A. Schoonbroodt, M. Tertilt, 2008. "Fertility theories: can they explain the negative fertility-income relationship?", National Bureau of Economic Research, w14266.
- Kalwij A., 2010. "The impact of family policy expenditure on fertility in western Europe", *Demography*, 47 (2): 503-519.
- Lanchava, L. 2014. "Does Religious Activity Affect Childbearing Decisions? The Case of Georgia". CERGE-EI Working Paper Series No. 521.
- Li H., J. Zhang, Y. Zhu, 2008. "The quantity-quality trade-off of children in a developing country: Identification using Chinese twins", *Demography*, 45 (1): 223-243.
- Luci-Greulich, A. and O. Thévenon, 2013. "The impact of family policies on fertility trends in developed countries", *European Journal of Population/Revue européenne de Démographie*, 29.4: 387-416.
- Milligan K., 2005. "Subsidizing the Stork: New Evidence on Tax Incentives and Fertility", *Review of Economics and Statistics*, 87:539–55.
- Olivetti C. and B. Petrongolo, 2017. "The economic consequences of family policies: lessons from a century of legislation in high-income countries", *Journal of Economic Perspectives*, 31.1: 205-30.



Pataraiia, B. October 2016. "Maternity and Parenting – Georgia's forgotten obligations". Policy Brief, Open Society Foundation, Tbilisi.

Raute A., 2019. "Can financial incentives reduce the baby gap? Evidence from a reform in maternity leave benefits", *Journal of Public Economics*, 169: 203-222.

Schoonbroodt A., M. Tertilt, 2014. "Property rights and efficiency in OLG models with endogenous fertility", *Journal of Economic Theory*, 150: 551-582.

UN Population Facts, 2017.

Verwimp, P., Osti, D., & Ostby, G. (2017). "Migration, Forced Displacement and Fertility during Civil War: A Survival Analysis", Working Papers CEB No 17-016.

Whittington L.A., 1992. "Taxes and the Family: The Impact of the Tax Exemption for Dependents on Marital Fertility", *Demography*, 29: 215–26.

Whittington L.A, J. Alm, H.E. Peters, 1990. "The Personal Exemption and Fertility in the United States", *American Economic Review*, 80: 545–56.

World Factbook, Georgia. CIA. Retrieved from <https://www.cia.gov/library/publications/the-world-factbook/geos/gg.html> on May 23, 2019.



ავტორების შესახებ

ლევ ლვოვსკი

ბელორუსიის ეკონომიკური კვლევებისა და ურთიერთობების ცენტრი (BEROC)

Lvovskiy@beroc.by

www.eng.beroc.by

ლევ ლვოვსკი BEROC-ის უფროსი მკვლევარია. მან ბაკალავრის ხარისხი 2010 წელს პერმის სახელმწიფო ტექნიკურ უნივერსიტეტში მიიღო. ხოლო ეკონომიკის დოქტორის ხარისხი 2017 წელს აიოვას უნივერსიტეტში მოიპოვა.

იაროსლავა ბაბიჩი

ISSET-ის კვლევითი ინსტიტუტი

y.babych@iset.ge

www.iset.tsu.ge

იაროსლავა (იასია) ბაბიჩი უკრაინაში დაიბადა და კიევში, კიევ-მოჰილას აკადემიაში სწავლობდა. 2000 წელს ბაკალავრის ხარისხი ფრანკლინისა და მარშალის კოლეჯში ორმაგი, ეკონომიკისა და ფილოსოფიის განხრით მოიპოვა. დოქტორანტურა 2011 წელს ვაშინგტონში, ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტში დაამთავრა.

ISSET-ში ის პირველ და მეორე კურსელებს მაკროეკონომიკასა და ღია ეკონომიკის მაკროეკონომიკას ასწავლის. დოქტორი ბაბიჩი

freepolicybriefs.com

აღმოსავლეთ ევროპისა და განვითარებადი ეკონომიკების კვლევის ფორუმი (FREE) არის ეკონომიკის აკადემიური ექსპერტების ქსელი აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში: BEROC (მინსკი), BICEPS (რიგა), CEFIR/NES (მოსკოვი), CenEA (შეჩინი), ISET (თბილისი), KSE (კიევი) and SITE (სტოკჰოლმი). 2019 წელს, FREE ქსელმა, შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს (Sida) ფინანსური მხარდაჭერით, საფუძველი ჩაუყარა გენდერული ეკონომიკის კვლევის ფორუმს (FROGEE). FROGEE-ის ინიციატივით გამოქვეყნებული პუბლიკაციები ხელს უწყობს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში გენდერული უთანასწორობის ირგვლივ დისკუსიების წამოწყებას. FREE ქსელის ფარგლებში გამოქვეყნებული პუბლიკაციები წარმოადგენენ ავტორების მოსაზრებებს და არ არის აუცილებელი, რომ ასახავდნენ FREE ქსელის, შესაბამისი კვლევითი ინსტიტუტების ან Sida-ს შეხედულებებს.

ასევე ISET PI-ს მაკროეკონომიკური პოლიტიკის კვლევით ცენტრს უძღვება.

სამადლობელი

ავტორები მადლობას უხდებიან პამელა კამპას, მიხალ მიკს და იასპერ როინს სასარგებლო კომენტარებისა და რედაქტირებისთვის, ასევე ქალბატონ კაჟეტან ტრზინსკს კორექტივებისთვის.

ორიგინალი ტექსტი მომზადებულია ინგლისურ ენაზე. ქართულად ითარგმნა სალომე ჯაფიაშვილის მიერ.